

დამტკიცებულია: \_\_\_\_\_

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის  
დირექტორის 2015 წლის 15 ივლისის  
№ 32 ბრძანებით

## შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის

### ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის (შემდგომში კოლეჯი) მისიის და მიზნების რეალიზაციის, პროფესიული განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად კოლეჯი ახორციელებს საქმიანობის სიტემატურ შეფასებას.

კოლეჯში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, აგრეთვე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) პროგრამის მიმდინარეობისას;

ბ) პროგრამის დასრულების შემდეგ.

2. სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგთან.

3. პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვით/ ინტერვიუებით. ყოველი სემესტრის/ეტაპის/მოდულის ბოლოს, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ურიგდებათ კურსის/მოდულის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების კითხვარი. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირება ან/და პერსონალთან შედეგების ინდივიდუალური განხილვა;

4. ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების/მოდულების, სასწავლო პროცესის, პროფესიული განათლების მასწავლებლების,

მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობების (ფინანსების), სამსახურების ფუნქციონირების, ხარისხის სისტემატური შეფასების გზით.

5. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით კოლეჯი ამტკიცებს შეფასების შემდეგ ფორმებს:

5.1. პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლის და მოდულის შეფასების კითხვარი;

5.2. პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შეფასების კითხვარი;

5.3. პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯის რესურსის და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების კითხვარი;

5.4. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ კოლეჯის რესურსის, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, განხორციელებისა და განვითარების კითხვარი;

5.5. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შემოწმებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ ანკეტა-კითხვარი;

5.6. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის თვითშეფასების ანკეტა-კითხვარი;

5.7. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ სასწავლო კურსის შეფასების ანკეტა-კითხვარი;

5.8. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების ანკეტა-კითხვარი;